ო ქ მ ი N3

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომისა.

ქ. ხობი **2024 წლის 26 მარტი.**

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ვლადიმერ ქანთარია

2.ფრიდონ კუკავა

3.ბექა ხარბედია

4.ფრიდონ შონია

5.დიტო ხასია

6.ბადრი რიჟამაძე

7.ჯანსუღ ჯიშკარიანი

8.მოგელი ხუხია

9.გურიელ ქარდავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 25 მარტის N 50 -502408532 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი („ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ".

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მერიასა და სს „საქართველოს ბანკთან" გაფორმდა საბანკო მომსახურეობის შესახებ ხელშეკრულება, საბანკო მომსახურეობის

ხელშეკრულება, საბანკო მომსახურეობის ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობის ადმინისტრაციულ შენობაში ბანკომატის განთავსების მიზნით, საქართველოს ბანკსა და ხობის მუნიციპალიტეტის მერიას შორის უნდა გაფორმდეს იჯარის ხელშეკრულება, მოთხოვნილ ფართზე საიჯარო ქირამ შპს „აუდიტი XXI" - ის შეფასებით, კომუნალური გადასახადების ჩათვლით შეადგინა თვეში 100 ლარი. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერიის მიერ წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ"

მომხსენებელმა კომისიის წევრებს განუმარტა, რომ განკარგულების პროექტის სამართლებრივი საფუძველია „საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" და „ მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილება.

კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით, განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდეგ გატანილ იქნას საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭისყრის შედეგები: მომხრე 9 წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს, სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

/კომისიის თავმჯდომარე: /ვ. ქანთარია/